პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 112 (13506) | ოთხშაბათი, 18 მაისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ მოსკოვში

კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო ალკკ XV ყრილობამ

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XV ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XV ყრილობის დელეგატებს, საბჭოეთის ყველა კომკავშირელს, ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს და გისურვებთ წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

კომკავშირის XV ყრილობა ახალგაზრდობის ძალების საბრძოლო დათვალიერებაა. საბჭოთა ახალგაზრდობა და მისი აღიარებული ავანგარდი — ლენინური კომკავშირი ღირსეულად ამართლებენ პარტიისა და ხალხის იმედებს. ჩვენ ვამაყობთ კომკავშირის საქმეებით, რომელიც მილიონობით ახალ მებრძოლს ზრდის უკვდავი ლენინის ანდერძის მიხედვით, ვისი სახელიც სამართლიანად აწერია კომკავშირის დროშას. საბჭოთა ხალხის მძიმე ომის განსაცდელის წლებში და დაძაბული შემოქმედებითი შრომის წლებში ახალგაზრდობა, რომელსაც კომკავშირი მეთაურობს, პარტიას მიჰყვებოდა ლენინური გზით, მუდამ უსაზღვროდ ერთგული იყო კომუნიზმის იდეალებისა.

ჩვენ, კომუნისტებს, გვახარებს საბჭოთა ქალიშვილებისა და ჭაბუკების იდეური სიმტკიცე, ოპტიმიზმი და დაუშრეტელი ენერგია ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს იმის მტკიცე საწინდარია, რომ საქმეს, რომელიც ძლევამოსილად დაიწყეს თქვენმა მამებმა და უფროსმა ძმებმა, განაგრძობენ და დაამთავრებენ დიდი რევოლუციის ახალი თაობები.

სკკპ XXIII ყრილობამ მოუწოდა კომკავშირს კიდევ უფრო ენერგიულად და გულმოდგინედ დაეხმაროს პარტიას, რომ აღზარდოს მუშა, სოფლის, მოსწავლე, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა ლენინიზმის სულისკვეთებით, მოამზადოს იდეურად გამოწრთობილი, შრომისმოყვარე, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები, რომლებმაც უნდა აშენონ კომუნიზმი, იცხოვრონ კომუნიზმის დროს და განაგებდნენ მის საზოგადოებრივ საქმეებს. კომკავშირის მთელი საქმიანობა მიმართულია მთავარი ამოცანის — ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანის გადასაჭრელად.

აღვზარდოთ ახალგაზრდობა კომუნისტურად — ეს იმას ნიშნავს, რომ ჩავუნერგოთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, მაღალი იდეური სიმტკიცე, კლასობრივი მიდგომა ცხოვრების მოვლენებისადმი, კომუნისტური პარტიის საქმის ერთგულება, აღვზარდოთ მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნისათვის მტკიცე და თავდადებული მებრძოლნი.

აღვზარდოთ ახალგაზრდობა კომუნისტურად — ეს იმას ნიშნავს, რომ განვუვითაროთ მას საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, მისწრაფება მუდამ მზად იყოს იარაღით დაიცვას სამშობლო მტრების ყოველგვარი ხელყოფისაგან.

აღვზარდოთ ახალგაზრდობა კომუნისტურად, — ეს იმას ნიშნავს, რომ განვუვითაროთ და განვუმტკიცოთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი ძმური მეგობრობისა და სოლიდარობის და მჩაგვრელებისადმი, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი კლასობრივი შეურიგებლობის გრძნობა.

აღვზარდოთ ახალგაზრდობა კომუნისტურად, — ეს იმას ნიშნავს, რომ შთავუნერგოთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შრომისადმი შეგნებული, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, შთავუნერგოთ სიამაყე თავისი პროფესიისათვის, განვუვითაროთ მუდმივი მისწრაფება ოსტატობის ამაღლებისადმი, პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი კოლექტივის საქმეებისათვის, ისე წარვმართოთ აღზრდა, რომ ჩვენს ახალგაზრდობას ნათლად ჰქონდეს შეგნებული პირადი ცხოვრების განუყრელი კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ერთობა.

სკკპ XXIII ყრილობამ განსაზღვრა კომუნისტური მშენებლობის ახალი ეტაპის ამოცანები. პარტია დარწმუნებულია, რომ ახალი ხუთწლედის ამოცანებს ღრმად შეიგნებს ახალგაზრდობა, რომ იგი ენთუზიაზმით მოჰკიდებს ხელს ყველაზე ძნელ საქმეებს.

ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობათა კომკავშირელები დღეს კომუნისტებთან ერთად გამოდიან როგორც სოციალისტური შეჯიბრების თაოსნები, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის ინიციატორები. ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, მეურნეობის ყაირათიანი გაძღოლისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის — ყოველივე ამით ვლინდება საბჭოთა ახალგაზრდა მუშის საუკეთესო თვისებები. კომკავშირი მოწოდებულია იზრუნოს იმისათვის, რომ წარმოების აღმავლობისათვის განხორციელებული თითოეული ღონისძიება შეეხამებოდეს მუშა ახალგაზრდობის კულტურულ, პროფესიულ, სულიერ ზრდას.

პარტიას სჯერა, რომ მუშათა კლასის ახალგაზრდა გვარდია კვლავაც საიმედო დასაყრდენი იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში.

დიდი ამოცანები დგას სოფლის ახალგაზრდობის წინაშე. ეჭვი არ არის, რომ კომკავშირული ორგანიზაციები დარაზმავენ სოფლის ახალგაზრდობას მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის საბრძოლველად.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირელებო, ყველაფერი იღონეთ იმისათვის, რომ ცხოვრება სოფლად კიდევ უფრო კულტურული, სულიერად მდიდარი, შინაარსიანი იყოს. ყოველნაირად განავითარეთ სოფლად კლუბების, სტადიონების, პარკების, დასვენების კერების მშენებლობის ინიციატივა.

შესანიშნავი ახალგაზრდობა მსახურობს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში. ახალგაზრდა მეომრები თავდადებით იხდიან თავიანთ წმიდათა წმიდა მოქალაქეობრივ ვალს სამშობლოს წინაშე, მისი საზღვრების სადარაჯოზე დგანან. სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ფიცის ერთგული არმიელი კომკავშირელები, ახალგაზრდა მეომრები, დაუცხრომლად აიმაღლებენ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას, ბეჯითად დაეუფლებიან იარაღს, რათა ყოველ წუთს გამანადგურებელი პასუხი გასცენ აგრესორს.

ახალგაზრდობის ლენინური კავშირის ნახევარზე მეტს ახლა სკოლების მოსწავლენი შეადგენენ. კომკავშირს შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჩაუნერგოს საუკეთესო თვისებები — დაუცხრომელი მისწრაფება ცოდნისადმი, შრომისმოყვარეობა, რევოლუციური იდეალების ერთგულება, შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში, კეთილშობილება და პატიოსნება.

საპატიო და პასუხსაგებია კომკავშირის როლი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში. ეს პარტიის ერთ-ერთი მთავარი დავალებაა კომკავშირისადმი. ბავშვებთან მუშაობა მოითხოვს ფორმებისა და მეთოდების განუწყვეტელ სრულყოფას. აღმოფხვერით ერთფეროვნება პიონერულ მუშაობაში, დააინტერესეთ ბავშვები ცოცხალი, საინტერესო საქმეებით, გაუღვიძეთ და განუვითარეთ დამოუკიდებლობა და თვითშემოქმედება.

დიდ იმედებს ვამყარებთ საბჭოთა სტუდენტების მრავალმილიონიან რაზმზე — წარმოების ხვალინდელ მეთაურებზე, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და კულტურის მომავალ მუშაკებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ კომკავშირი აამაღლებს თავის როლს უმაღლეს სასწავლებელთა იდეურ ცხოვრებაში, ისე წარმართავს საქმეს, რომ სპეციალურ ცოდნასთან ერთად სტუდენტები გულმოდგინედ სწავლობდნენ საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, ჰქონდეთ ფართო პოლიტიკური ჰორიზონტი. სპეციალობისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა ცოდნა, კომუნისტური მრწამსი აუცილებელი მოთხოვნებია, რომლებსაც საბჭოთა საზოგადოება უყენებს ყოველი პროფესიის სპეციალისტებს.

პარტიას ახარებს საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის ახალგაზრდა მოღვაწეთა შემოქმედებითი ზრდა, მათი აქტიური მონაწილეობა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. ახალგაზრდობის ამ რაზმის ძალები კიდევ უფრო სრულად უნდა მოხმარდეს აღმშენებლობის მიზნებს, იმას, რომ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ჩავუნერგოთ სულიერი მხნეობა და ოპტიმიზმი, ჩვენი დიადი იდეალების გამარჯვების რწმენა, უნდა მოხმარდეს ბრძოლას ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აფერხებს ჩვენს წინსვლას.

პარტიას სჯერა, რომ ყველგან — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, სახელოვანი შეიარაღებული ძალების რიგებში კომკავშირელები როგორც ყოველთვის თავდადებისა და გმირობის მაგალითს გვიჩვენებენ.

ახლა, როცა მიმდინარეობს სრულიად საკავშირო ალკკ XV ყრილობა, მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. როგორც ყოველთვის პარტია არჩევნებში გამოდის პროფკავშირულ, კომკავშირულ და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებთან ერთიანი, ურღვევი ბლოკით. პარტია ღრმად დარწმუნებულია, რომ არჩევნების დღეს კომკავშირელები, ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა — ახალგაზრდა ამომრჩეველნი ხმას მისცემენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ძვირფასო ამხანაგო კომკავშირელებო! სკკპ XXIII ყრილობაზე ბევრი კარგი სიტყვა ითქვა ჩვენი ახალგაზრდობის, კომკავშირის შესახებ. ამასთანავე გააკრიტიკეს კომკავშირის საქმიანობის ნაკლოვანებანიც. ახალგაზრდობას შორის ჯერ კიდევ გვხვდებიან სხვისა შემყურე, უდისციპლინო ადამიანები, რომლებსაც ნაკლებად აქვთ განვითარებული საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობა. თავს ნუ დავიმშვიდებთ იმით, რომ ასეთი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებანი იშვიათია. სანამ ასეთი გამოვლინებანი გვხვდება, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გაბედულად უნდა იბრძოლონ ჩვენი წყობილებისათვის სრულიად უცხო ამ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

ახალგაზრდობასთან მუშაობა უაღრესად პასუხსაგები, ცოცხალი საქმეა, რომელიც ვერ ითმენს ფორმალობას, შაბლონს, უძრაობას. მაგრამ ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ბევრია ფორმალიზმი, პარადულობა და აურზაური, საკმაო ყურადღება არ ეთმობა გონივრულ დასვენებას, ფიზიკურ კულტურას, სპორტს.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი მომთხოვნელობა უნდა გამოიჩინონ ყოველი კომკავშირელისადმი, კიდევ უფრო აამაღლონ ლენინური კომკავშირის წევრის წოდება. რაც უფრო დისციპლინირებული და ორგანიზებული იქნებიან კომკავშირელები, მით უფრო თავდადებული იქნება მათი შრომა და უფრო წარმატებული იქნება მათი სწავლა, მით უფრო გაიზრდება კომკავშირელთა ავტორიტეტი, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ავანგარდული როლი, მისი გავლენა ახალგაზრდობაზე.

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავი და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი. პარტია, კომკავშირი, მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება კომუნიზმის გამარჯვებისათვის შრომითი შემოქმედებითი საქმეებით აღნიშნონ ეს თარიღები.

კომკავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე საპატიო ამოცანაა, ახალგაზრდა თაობა აღზარდოს ოქტომბრის საქმის, დიდი ლენინის საქმის ღირსეულ გამგრძელებლად, კომუნიზმისათვის მებრძოლად.

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ლენინური კომკავშირის XV ყრილობა გაიხსნა

მოსკოვი, 17 მაისი. (საქდესი). დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XV ყრილობა. 23 მილიონიანმა კომკავშირმა თავის ყრილობაზე გამოგზავნა წარმომადგენელნი ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან — ოთხი ათასამდე დელეგატი. ყრილობაზე ჩამოვიდნენ მსოფლიოს 72 ქვეყნის ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ფ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

დარბაზში გაისმის მისალმების შეძახილები, გამარჯვებას უსურვებენ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ყრილობა გახსნა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. პ. პავლოვმა. დელეგატები და სტუმრები ფეხზე ადგნენ, მქუხარე ტაშით შეხვდნენ სრულიად საკავშირო ალკკ წითელ დროშას, რომელიც დარბაზში შემოიტანა საბჭოთა კავშირის გმირმა სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა ალექსი ლეონოვმა.

ყრილობის მონაწილეთა სახელით ს. პ. პავლოვი მხურვალედ მიესალმა მოძმე ახალგაზრდათა კავშირებისა და მეგობარ ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აგრეთვე დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლებს, რომლებიც სრულიად საკავშირო ალკკ XV ყრილობაზე ჩამოვიდნენ.

დელეგატებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს სრულიად საკავშირო ალკკ XV ყრილობის საპატიო პრეზიდიუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

შემდეგ აირჩიეს ყრილობის პრეზიდიუმი, სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები, მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი.

ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დელეგატები და სტუმრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელმაც გულთბილი, გულში ჩამწვდომი სიტყვით მიმართა საბჭოეთის ახალგაზრდა თაობას.

ლ. ი. ბრეჟნევმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება კომკავშირის XV ყრილობისადმი. დარბაზში კვლავ იქუხა ოვაციამ. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში მყოფნი ერთხმად გაიძახიან: „ლენინი ჩვენთანაა!" „ლენინი ჩვენთანაა!".

ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას. სიტყვა მოხსენებისათვის „სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის ამოცანები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე" ეძლევა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ს. პ. პავლოვს.

მოსკოვი, 17 მაისი. (საქდესის კორ.). ყრილობის მუშაობის პირველი დღის საღამოს სხდომა დაიწყო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებით, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ რ. ა. მუსიევსკიმ.

მოხსენებების გამო გამართულ კამათში პირველი გამოვიდა სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. ტრუშინი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

სრულიად საკავშირო ალკკ XV ყრილობაზე 1966 წლის 17 მაისს

ძვირფასო ამხანაგო დელეგატებო!

თქვენ შეიკრიბეთ უმაღლეს კომკავშირულ კრებაზე. ეს დიდი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის ცხოვრებაში. ამ კრებისადმი მიპყრობილია არა მარტო ახალგაზრდა თაობის, არამედ თქვენი მამებისა და დედების, თქვენი უფროსი ძმებისა და დების, მთელი ჩვენი ხალხის ყურადღება.

ყრილობამ უნდა შეაჯამოს კავშირის იმ წლების მუშაობის შედეგები, როცა პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი შეუდგა კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელებას. თქვენ იმსჯელებთ კომკავშირის საქმიანობის საარსებო საკითხებზე, შეიარაღდებით ახალი საინტერესო იდეებით და გეგმებით, დასახავთ მომავლის ამოცანებს.

ნება მიბოძეთ მოგილოცოთ ყრილობის გახსნა და გადმოგცეთ თქვენ, ხოლო თქვენი სახით ლენინური კომკავშირის მთელ 23-მილიონიან რაზმს მხურვალე სალამი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოეთის ყველა კომუნისტის სახელით.

ამხანაგებო! ერთ თვეზე ცოტა მეტი გავიდა იმ დღიდან, რაც მუშაობა დაამთავრა სკკპ XXIII ყრილობამ.

XXIII ყრილობამ შეიმუშავა ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი, განსაზღვრა პარტიისა და საბჭოთა ხალხის მოქმედების პროგრამა უახლოესი პერიოდისათვის. ყრილობამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ პარტია მტკიცედ მიდის და ივლის წინ ლენინური კურსით. მთელმა ჩვენმა ხალხმა — მუშებმა, კოლმეურნეებმა, მშრომელმა ინტელიგენციამ ენთუზიაზმით, როგორც ღვიძლი საქმე, აიტაცეს ყრილობის გადაწყვეტილებანი, ხუთწლედის დავალებანი.

ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახლობელი და ძვირფასია პარტიის საზრუნავი და გეგმები. მხურვალე დაინტერესებულობით დაიწყო მან პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება. სხვანაირად, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო. კომკავშირს არა აქვს სხვა მიზნები, გარდა პარტიის მიზნებისა, ჩვენი რევოლუციის მიზნებისა.

ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ძალას, პოპულარობასა და ავტორიტეტს სწორედ ის უდევს საფუძვლად, რომ იგი მუდამ, ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე, იყო პარტიის ერთგული დასაყრდენი უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ამოცანათა გადაწყვეტაში.

დღეს, როგორც ყოველთვის, კომკავშირი დიადი კომუნისტური მშენებლობის ყველაზე მოწინავე უბნებზეა. პარტიის მოწოდებით იგი მიდის ახალი მიწების ასათვისებლად, ციმბირის საგანძურთა აღმოსაჩენად, შორეული აღმოსავლეთის, შორეული ჩრდილოეთის მიწების გარდასაქმნელად. საბჭოთა ახალგაზრდობა აქტიურ შემოქმედებითს შრომას ესწრაფვის, უყვარს და იცის შრომა. სწორედ საქმეებით, და უწინარეს ყოვლისა საქმეებით ამტკიცებს ახალგაზრდა თაობა თავის ერთგულებას ლენინიზმისადმი.

ათ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ ანგარის ნაპირებზე მოვიდნენ პირველი მოხალისე-მშენებლები — 12 კომკავშირელი. დღეს იქ, სადაც ოდესღაც ურიანი ტაიგა იყო, აშენდა მსოფლიოში უდიდესი ბრატსკის ჰიდროელექტროსადგური, ახალი ქალაქი ბრატსკი. იგი გახდა 60-იანი წლების საბჭოთა ახალგაზრდობის რევოლუციური სიმტკიცისა და მამაცობის სიმბოლო.

ვოლგის წმიდათა წმიდა ნაპირებზე, სადაც მკაცრ ბრძოლებში წყდებოდა ჩვენი ქვეყნის ბედი, იმათი შვილებისა და შვილიშვილების დახმარებით, ვინც სისხლი დაღვარა საბჭოების ხელისუფლებისათვის, აშენდა ვოლჟსკის ჰიდროელექტროსადგური, ქალაქი ვოლჟსკი თავისი მძლავრი ქიმიური კომბინატითა და ქარხნებით.

მეტალურგიის განვითარებაში, უდიდეს სამთოგამამდიდრებელ საწარმოთა მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანეს ქალაქების კრივოი როგის, რუდნისა და ჟდანოვის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ.

იმიერპოლარეთის უძნელეს პირობებში, ტალნახში — სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით რეკორდულად მოკლე ვადაში საექსპლოატაციოდ გადაეცა მაღარო „მუქურა", რკინიგზა და სხვა ობიექტები.

ჩვენი ქვეყნის ამ და ბევრი სხვა ქალაქისა და სოფლის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა თავი გამოიჩინეს პარტიული კომიტეტების ნამდვილ თანაშემწეებად, ახალგაზრდობის ავტორიტეტიან ხელმძღვანელებად.

სასიამოვნოა გაცნობოთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქალაქების ბრატსკის, ვოლჟსკის, კრივოი როგის, ნორილსკის, ჟდანოვისა და რუდნის კომკავშირული ორგანიზაციები დაჯილდოებული არიან შრომის წითელი დროშის ორდენით.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავს კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებმაც მაღალი ჯილდო მიიღეს, და მადლობას უხდის ახალგაზრდა მშრომელებს, რომლებიც კომუნიზმის მშენებლობას ახმარენ მთელ თავიანთ ენერგიას, თავიანთ ნიჭს.

პარტია დარწმუნებულია ლენინური კომკავშირის ერთგულებაში, სწამს მისი ძალები და შესაძლებლობანი. იგი ახალგაზრდებს ანდობს ახალი ხუთწლედის ყველაზე პასუხსაგებ მიჯნებს.

კომუნისტური მშენებლობის ბრძმედში ახალგაზრდა ადამიანი გადის ცხოვრების ნამდვილ სკოლას, შრომისა და ბრძოლის სკოლას. კომკავშირის დაბადების შემდეგ ეს სკოლა გაიარა 90 მილიონზე მეტმა კაცმა. აბა ჰკითხეთ ახლა რომელსაც გნებავთ სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს თუ სამეურნეო მუშაკს, შრომის გმირს თუ ომის ვეტერანს, და თითქმის ყველა გიპასუხებთ, კომკავშირის სკოლა გავიარეო. კომკავშირი ლენინური პარტიის პირმშოა. დედობრივად ზრდის და წვრთნის პარტია კომკავშირს. და ამასთანავე თვითონ ახალ ძალებს იკრებს ახალგაზრდა ლენინელთა რეზერვიდან.

პარტიის XXIII ყრილობამ, როგორც იცით, დიდი ყურადღება დაუთმო კომკავშირის საქმიანობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, დელეგატთა გამოსვლებში, ყრილობის გადაწყვეტილებებში აისახა პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა მოზარდი ცვლის აღზრდისათვის.

XXIII ყრილობამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში შეიტანა ცვლილება, რომლითაც 23 წლამდე ახალგაზრდობის მიღება პარტიაში ახლა მოხდება მხოლოდ სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის საშუალებით. ამ დიდმნიშვნელოვანი აქტით პარტიამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განუხრელად იზრდება კომკავშირის პოლიტიკური გავლენა ცხოვრებაში. იგი პარტიის მთავარი რეზერვი, ერთგული თანაშემწე და მისი იდეების განმხორციელებელია. „ჩვენ ყოველთვის მოწინავე კლასის ახალგაზრდობის პარტია ვიქნებით!" — წერდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი და განმარტავდა: „ჩვენ მომავლის პარტია ვართ, მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ხოლო ნოვატორებს ყოველთვის მეტი ხალისით მისდევს ახალგაზრდობა".

რაც უფრო მეტი დრო გადის ოქტომბრის დიადი დღეების შემდეგ, რაც უფრო ემატებიან კომუნისტთა რიგებს ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებსაც არ განუცდიათ ცხოვრების მძიმე განსაცდელი, მით უფრო პასუხსაგები ხდება იდეური აღზრდის ამოცანები. თითოეულ ახალგაზრდას უნდა შევაგნებინოთ ჩვენი რევოლუციის საერთო მიზნები, დავეხმაროთ განსაზღვრონ თავიანთი კონკრეტული ადგილი მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნაში. ამის მთლიანად გაკეთება შეუძლებელია, თუ ახალგაზრდობას არ ვაზიარებთ უფროს თაობათა სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს.

რა თქმა უნდა საქმე ეხება არა იმას, რომ დღეს ზუსტად ვბაძავდეთ საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების რევოლუციონერებს. რევოლუციონერთა ყოველი ახალი თაობა წყვეტს ახალ ისტორიულ ამოცანებს და ამისათვის პოულობს შესაბამის მეთოდებს, ბრძოლისა და ცხოვრების თავის სტილს, რომელსაც სხვა ვინმე მის მაგიერ ვერ შეიმუშავებს. წარსულის გმირებს კი არ უნდა ვბაძავდეთ, არამედ უნდა გადმოვიღოთ რევოლუციით გამოწრთობილი მათი ხასიათის არსი, გადმოვიღოთ მათი რევოლუციური მგზნებარება, მათი ღრმა კომუნისტური რწმენა, ჩვენი პარტიის დიადი საქმისადმი უანგარო ერთგულება, მათი ცეცხლოვანი რომანტიზმი და რევოლუციის მტრებისადმი შეუნელებელი სიძულვილი; გადმოვიღოთ ყოველივე ეს და გამოვიყენოთ კომუნიზმის მშენებლობის იმ მრავალგვარი ამოცანების გადაჭრისას, რომლებიც დღეს დასახულია ჩვენს წინაშე.

ახლა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა შესანიშნავი, შრომისმოყვარე, მცოდნე ახალგაზრდა თაობა. მას ღირსეული ადგილი უკავია კომუნისტური მშენებლობის ყველა საკვანძო პოზიციაზე. პარტია გაბედულად აწინაურებს ახალგაზრდებს, ყველა საქმეში ეყრდნობა ახალგაზრდობას. მაგრამ, როცა ყოველივე ამას ვამბობთ, არ უნდა დავივიწყოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენი საზოგადოება, რომელიც ბევრ რამეს აძლევს ახა-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ლ. ი. ბრეჟნევი ვლადივოსტოკში გაემგზავრა

17 მაისს მოსკოვიდან ვლადივოსტოკში გაფრინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, რათა ლენინის ორდენი გადასცეს ზღვისპირეთის მხარეს, რომელიც დაჯილდოებულია სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

ვნუკოვოს აეროდრომზე ლ. ი. ბრეჟნევი გააცილეს ამხანაგებმა გ. ი. ვორონოვმა, ა. პ. კირილენკომ, კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. პოდგორნიმ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, ვ. ვ. გრიშინმა, პ. ნ. დემიჩევმა, დ. ფ. უსტინოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, ფ. დ. კულაკოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა. (საქდესი).

შრი სავანგ ვათხანა ეწვია ნ. ვ. პოდგორნის

მისი უდიდებულესობა ლაოსის მეფე შრი სავანგ ვათხანა 16 მაისს კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

ნ. ვ. პოდგორნიმ და ლაოსის მეფემ შრი სავანგ ვათხანამ ისაუბრეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე. საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

დარბაზობა კრემლში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 16 მაისს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართა იმის გამო, რომ გაიხსნა საერთაშორისო გამოფენა „თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა".

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. პალეცკისი და სხვები.

დარბაზობას დაესწრნენ საზღვარგარეთის მთავრობათა დელეგაციები, დათვალიერების მონაწილე ქვეყნების მთავრობებისა და ფირმების წარმომადგენლები, უცხოელი დიპლომატები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა კ. ტ. მაზუროვმა.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საქდესი).

ახალი ნაწარმი საიუბილეო დღეებისათვის

16 მაისს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ეწვივნენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, ზ. ი. ჩოგოვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ო. ი. ლოლაშვილი. მათ დაათვალიერეს კვების მრეწველობის ახალი ნაწარმის ნიმუშები, რომლებსაც საიუბილეო დღეებისათვის — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის გამოუშვებენ. მათ შორის არის საკონდიტრო, პურ-ფუნთუშეულის, ღვინო-კონიაკის, ეთერზეთოვანთა, თამბაქოს, ჩაისა და სხვა სახეობის ნაწარმი. ადრე გამოშვებული ნაწარმისაგან ეს ნაწარმი იმით განსხვავდება, რომ უფრო გემრიელი და კალორიულია. ახალი ნაწარმი ლამაზად არის გაფორმებული.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები დაინტერესდნენ, თუ როგორ ასრულებენ გეგმას სამინისტროს საწარმოები, როგორ განვითარდება შემდგომში წარმოების ტექნიკური ბაზა, როგორ გაუმჯობესდება მრეწველობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ეთიოპიაში ჩავიდა

ადის-აბება, 17 მაისი. (საქდესი). დღეს ეთიოპიის დედაქალაქში ეთიოპიის პარლამენტის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. ხ. ოვეზოვი.

აეროდრომზე საბჭოთა პარლამენტარიების დელეგაციას შეხვდნენ სენატის თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი აბიე აბებე, დეპუტატთა პალატის ვიცე-თავმჯდომარე ჰაჯი მოჰამედ სერაჯ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბილი მოლტოტალე, ეთიოპიის პარლამენტის დეპუტატები, ეთიოპიის საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ეთიოპიაში ლ. ფ. ტეპლოვი და საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

სრულიად საკავშირო ალკკ XV ყრილობაზე 1966 წლის 17 მაისს

(დასასრული)

მიანს, ბევრსაც მოითხოვს მისგან. ახლა ჩვენს წინაშე დასახულია ისეთი გაქანებისა და ისეთი სირთულის ამოცანები, როგორიც დღემდე, შეიძლება ითქვას, ჩვენ არ გადაგვიწყვეტია მშვიდობიანი მშენებლობის მსვლელობაში. ახალგაზრდა თაობა თავისი მამებისაგან მემკვიდრეობით იღებს კოლოსალურად გართულებულ საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზმს. წინ რომ წასწიოს იგი და კიდევ უფრო განავითაროს, საჭიროა ღრმა სპეციალური ცოდნა, ოსტატობის მუდმივი სრულყოფა არჩეულ პროფესიაში. ეს როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე ყოველი ცალკეული ადამიანის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილება ხდება.

გაიხსენეთ, როგორ არის ასახული ეს მოთხოვნილება პარტიის XXIII ყრილობის დირექტივებში. ხუთწლედში ჩვენ უნდა მოვამზადოთ უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე დაახლოებით შვიდი მილიონი სპეციალისტი, ერთნახევარჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე წარსულ ხუთწლედში მოვამზადეთ. ჩვენ სავსებით სამართლიანად ვუწოდებთ ჩვენს ქვეყანას ახალგაზრდულს, ასეთივე საფუძველი გვაქვს მოსწავლეთა ქვეყანაც ვუწოდოთ მას. ახლა საბჭოთა კავშირში სწავლობს 70 მილიონზე მეტი კაცი.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა უაღრესად გულითადი მადლობა ვუძღვნა ჩვენს მასწავლებლებს, პროფესორებს, ყველა იმათ, ვინც ცოდნის დიად სიმდიდრეს აზიარებს მილიონობით საბჭოთა ადამიანს. გმადლობთ თქვენ, ამხანაგებო, თქვენი უანგარო შრომისათვის, თქვენი მოქალაქეობრივი გმირობისათვის სახალხო განათლების ასპარეზზე. ამ შრომაში თქვენ მუდამ გყავდათ და, ეჭვი არ არის, გეყოლებათ კარგი, საიმედო თანაშემწე და მეგობარი ლენინური კომკავშირის სახით. და დღეს კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენს წინაშე დასახული ახალი ამოცანების თვალსაზრისით კომკავშირისა და სკოლის ეს კავშირი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე.

ამხანაგებო! პარტიის სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც შემუშავებულია ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმებსა და სკკპ XXIII ყრილობაზე, მიზნად ისახავს ჩვენი მეურნეობის მართვა დააყენოს მეცნიერულ რელსებზე, გადამწყვეტი სიტყვა მიანიჭოს სოციალიზმის ეკონომიურ კანონებს, უნარიანად გამოიყენოს მორალური და მატერიალური სტიმულების სისტემა. პარტიის ახალი გადაწყვეტილებანი ფართო ასპარეზს აძლევენ ჩვენი ქვეყნის კომკავშირული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ეკონომიურ კანონებთან საქმე ჰქონდეთ მხოლოდ დიდ მეცნიერებსა და ხელმძღვანელებს. ეს კანონები, თუ მათ სწორად გავიგებთ, მოქმედების ლოგიკას უკარნახებენ არა მარტო ადმინისტრატორს, ინჟინერს, მეცნიერს, ტექნიკოსს, არამედ აგრეთვე თითოეულ რიგით მუშას, კოლმეურნეს.

ამასთან დაკავშირებით მინდა განსაკუთრებით შევეხო ისეთ საკითხს, როგორიც არის პროდუქციის ხარისხი. ეს ამჟამად უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხია. საწარმოთა მოგება და რენტაბელობა, მეცნიერული ფასწარმოქმნა, პროდუქციის რეალიზაცია — ყველა ეს ეკონომიური ბერკეტი განუხრელად უნდა იყოს დაკავშირებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან. არ კმარა დავარწმუნოთ ადამიანები, რომ უწუნოდ იმუშაონ, შებრძოლოთ შრომისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას. საჭიროა კიდევ თითოეულ მუშაკს შევუქმნათ ისეთი პირობები, როცა იგი დაინტერესებული იქნება იმით, რომ განუწყვეტლივ აუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი.

ჩაებით, მეგობრებო, მთელი თქვენი კომკავშირული ენთუზიაზმით ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი საბჭოთა მარკის ღირსებისა და პრესტიჟისათვის ბრძოლაში! აქ შეიძლება ფართოდ გამოიყენოთ თქვენი თანამედროვე ეკონომიური და ტექნიკური ცოდნა, თქვენი ორგანიზატორული ნიჭი, თქვენი საბრძოლო აგიტაციური და ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილება.

ამხანაგებო!

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცის მისამართი ახალი ხუთწლედის დამკვრელური მშენებლობებისა, სადაც მიდიან მოხალისე ახალგაზრდები, კომკავშირის აღზრდილნი. საქმე ეხება ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის ნაკლებ დასახლებულ რაიონებს. დიდ კმაყოფილებას ანიჭებს ადამიანს ის, რომ მივიდეს ახალ ადგილზე, დაიწყოს ცხოვრება კარავში, ხოლო შემდეგ უთხრას თავის თავს: ეს ქალაქი, ეს ქარხანა მე მიშენებია, იგი ჩემს თვალწინ შეიქმნა.

კომკავშირის შეფობამ ახალშენებებისადმი, მრეწველობის ახალი დარგების განვითარებისადმი კარგი შედეგი მოგვცა. სამეურნეო საქმეებში კომკავშირის მონაწილეობის ამ ფორმას მტკიცე ავტორიტეტი აქვს. მე ვიცი, რომ ჩვენში მინისტრები, უდიდეს მშენებლობათა უფროსები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ასე ვთქვათ, იმ უფლებისათვის, რომ ამა თუ იმ ობიექტს კომკავშირული უწოდონ. ამით უნდა ვამაყობდეთ. ამას უნდა ვაფასებდეთ.

დამკვრელური კომკავშირული მშენებლობანი შეიძლება გახდეს და კიდევაც ხდებიან მოწინავე გამოცდილების ლაბორატორია, შრომის სრულყოფილი ორგანიზაციის, მაღალი კულტურის, ახალი ყოფაცხოვრების ნიმუში. საჭიროა მხოლოდ, რომ საგზურები მივცეთ მართლაც ღირსეულთ, და რომ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შეეძლოთ შრომა თავიანთი ძალებისა და უნარის სრული გამოყენებით.

აქ, რასაკვირველია, ძალზე ბევრი დამოკიდებულია აგრეთვე სამეურნეო ხელმძღვანელებზე, უფროს ამხანაგებზე. ჩვენს ახალგაზრდობას არ ეშინია სიძნელეების, მაგრამ სიძნელეები სხვადასხვანაირია. არის გარდაუვალი, ბუნებრივი სიძნელეები ახალი რაიონებისათვის, არის ხელოვნური სიძნელეები, შექმნილი ჯანჯალი, ბიუროკრატი, გულგრილი ადამიანის მიერ. ახალგაზრდობის ენთუზიაზმი წმიდათა წმიდა ცნებაა. არ შეიძლება სპეკულაციას ვეწეოდეთ ამ ცნებით, არ შეიძლება ბოროტად ვიყენებდეთ მას, რათა მივჩქმალოთ ნაკლოვანებანი, რაც გამოწვეულია ზოგიერთი ადმინისტრატორის უყაირათობით, მუშაობის ორგანიზაციის უცოდინარობით.

ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციების აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იყო და არის ზრუნვა ახალგაზრდობის შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. არ უნდა მოვერიდოთ და სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ სამუშაოს გამცდენები და ზარმაცები, კომკავშირულად მკაცრად — სწორედ მკაცრად — ვაგებინოთ პასუხი შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის.

ამხანაგებო! ახლანდელ ხუთწლედში ჩვენი პარტიის, სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდი საზრუნავი იქნება მოსახლეობის მომსახურების სფეროს საქმიანობის ძირეული გაუმჯობესება.

ახლა ეკონომიური წანამძღვრები დავსახეთ იმისათვის, რომ მოსახლეობის მომსახურების სფერო გარდავქმნათ თანამედროვე ინდუსტრიის განვითარებულ დარგად, რომელსაც საფუძვლად დაედება უახლესი ტექნიკა. შრომის მაღალი კულტურა, წარმოების თანამედროვე ორგანიზაცია. მაგრამ საკმაოდ სწრაფად წინ ვერ წავალთ, თუ გარდატეხას არ მოვახდენთ ადამიანთა დამოკიდებულებაში ამ სახეობის შრომისადმი. საჭიროა ახალგაზრდა ძალები, ენთუზიასტები, ვისთვისაც მოწოდება გახდება შრომა მომსახურების სფეროში. მაშ ვინ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს, თუ არა კომკავშირმა და კომკავშირელებმა, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დაწესებულებებში, სავაჭრო ქსელში გაგზავნონ ახალგაზრდა, კვალიფიციური მუშაკები, რომლებსაც კარგად ესმით ამ საქმის უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, უყვართ იგი, პატივისცემითა და გულისხმიერებით ეპყრობიან მომხმარებელს, კლიენტს, შემკვეთს. ასეთი კეთილსინდისიერი, კულტურული, დროის მოთხოვნების გამგები მუშაკები დიდად უნდა დავაფასოთ, ყურადღებითა და ზრუნვით მოვეკიდოთ მათ.

პარტიამ მარტის პლენუმზე შეიმუშავა სოფლის მეურნეობის აღმავლობის ეკონომიური ღონისძიებანი. ეს ღონისძიებანი, თუ უნარიანად და თანამიმდევრულად განვახორციელეთ, დაგვეხმარება ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე და გავაუმჯობესოთ სოფლის მშრომელთა ცხოვრება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეგვიძლია გულხელდაკრეფილი ვიყოთ და ველოდოთ, სანამ ეკონომიური სტიმულები თავისთავად პროდუქტების სიუხვეს შექმნიან. არა, ამხანაგებო, ვეყრდნობით რა სწორ ეკონომიურ პოლიტიკას, მეორე დიდი ნაბიჯი უნდა გადავდგათ: მნიშვნელოვნად ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა და ამ საფუძველზე მოვიყვანოთ უხვი და გარანტირებული მოსავალი.

ამ დღეებში გაიმართება პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც სპეციალურად განიხილავს ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესებისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების საკითხებს. სამელიორაციო სამუშაოთა გეგმა განხორციელდება მთელ ჩვენს ქვეყანაში. მსხვილი საირიგაციო და საშრობი სისტემების მშენებლობასთან ერთად უნდა განვახორციელოთ ისეთი დიდი სამუშაოები, როგორიც არის მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესება, მინდვრების გაწმენდა ბუჩქებისა და ქვებისაგან, ბრძოლა ნიადაგების ეროზიის, გაკირიანებისა და გათაბაშირიანების წინააღმდეგ, მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნა, გუბურების მშენებლობა, რწყვის განვითარება ადგილობრივი ჩანადენით და ბევრი სხვა.

დარწმუნებული ვართ, იქ, სადაც საჭირო იქნება გამრჯე ხელი, ენთუზიაზმი და თავდადება, იქ იქნებიან კომკავშირელები და ახალგაზრდობა, ისინი პირველი გამოეხმაურებიან და დაეხმარებიან ხალხს, პარტიას დასახული გრანდიოზული ამოცანის გადაწყვეტაში.

სოფელს, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე სჭირდება ახალგაზრდობის ხელი, ახალგაზრდული ენერგია, სჭირდებით თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო!

უკანასკნელ წლებში მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ახალგაზრდობის რიცხვი სოფლად რამდენადმე შემცირდა. ეს, რასაკვირველია, დროებითი მოვლენაა. და უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გამოვასწოროთ მდგომარეობა.

ქალიშვილები და ჭაბუკები უფრო ხალისით წავლენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებსა და ფერმებში, თუ კომკავშირული ორგანიზაციები დაეხმარებიან მათ დაინახონ სოფლის განვითარების პერსპექტივები, დაეხმარებიან მათ შეიგნონ, რომ ახალგაზრდა თაობას დრო აკისრებს მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სოფლის ცხოვრების მთელი წყობის ძირეულად გარდაქმნის ისტორიულ მისიას.

განსაკუთრებით ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, ამხანაგებო, სოფლის კულტურის აღმავლობისათვის. ჩვენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს განვამტკიცებთ ეკონომიურად, ვაძლევთ მათ უახლეს ტექნიკასა და დიდ სახსრებს კაპიტალური საწარმოო მშენებლობისათვის. მაგრამ სოფლის ნამდვილი აღმავლობისათვის უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუშაკთა და უწინარეს ყოვლისა სოფლის ახალგაზრდობის შრომის პირობების, კულტურული დასვენებისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ახალი ხუთწლედი ითვალისწინებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დიდ აღმავლობას. გეგმით გათვალისწინებულია აშენდეს 10 ათასამდე სოფლის სკოლა, რომლებშიც ისწავლის ორ მილიონზე მეტი ბავშვი, 8 ათასი კლუბი და კულტურის სახლი, ბევრი საცხოვრებელი.

მაგრამ ახალი სკოლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, სასპორტო ნაგებობების აშენება მხოლოდ ნახევარი საქმეა. მათი როლი და გავლენა როგორც იდეოლოგიური მუშაობის საყრდენი პუნქტებისა სოფლად დამოკიდებულია მათი საქმიანობის შინაარსზე. ამიტომ მეტად საჭიროა, რომ სოფლად კულტურის კერებს ენერგიული და განათლებული ადამიანები ხელმძღვანელობდნენ. იმედი გვაქვს, რომ ლენინური კომკავშირი, მისი საქალაქო ორგანიზაციები თავიანთ საუკეთესო აღზრდილებს გაგზავნიან ამ პასუხსაგებ უბანზე.

ქალაქის შეფობა სოფლისადმი მუშათა კლასის ერთ-ერთი რევოლუციური ტრადიციაა. ეს ტრადიცია სათუთად უნდა შევინახოთ და განვავითაროთ, განვამტკიცოთ ქალაქისა და სოფლის მეგობრობა. ახალგაზრდებს, რომლებიც ქალაქიდან საშეფო კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში ჩავლენ, შეუძლიათ წაიკითხონ იქ საინტერესო ლექციები, მოაწყონ საუბრები საჭირბოროტო თემებზე, ჩაუტანონ კოლმეურნეებს ახალი წიგნები და ჟურნალები. რამდენი რამ სასარგებლო შეიძლება მისცენ სოფელს ქარხნის რაციონალიზატორებმა, მუშათა კლასის მოწინავეებმა, „ხელმარჯვე ოსტატებმა“, მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ შრომის შემსუბუქებას, მაგალითად, მეცხოველეობის ფერმებში, დაეხმარონ კოლმეურნეებს მცირე მექანიზაციის დანერგვაში. ქალაქის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, კონსერვატორიების ახალგაზრდა მუშაკებს ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ საშეფო სოფლის კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის. ასეთი მუშაობა მთელ ჩვენს ქვეყანაში უნდა გაჩაღდეს. მასობრივი და მუდმივი გახდეს. ეს უაღრესად კეთილშობილური ამოცანაა და კომკავშირს თავისუფლად შეუძლია გაართვას მას თავი. ეს დაგვეხმარება, რომ პრაქტიკულად გადავჭრათ ჩვენი კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი ახალ ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ ახალ დიდ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ტექნიკური შეიარაღების მხრივ სოფლის მეურნეობის თანდათანობით დაახლოება მრეწველობის დონესთან, გათვალისწინებულია ახალი ღონისძიებანი ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევისათვის. კომკავშირის ღირსების საქმეა გახდეს პარტიის აქტიური თანაშემწე ამ ისტორიულ ამოცანათა გადაწყვეტაში.

განსაკუთრებით მინდა შევეხო სოფლის ინტელიგენციას, სპეციალისტებს. სოფლის ინტელიგენტები — ეს უბრალოდ მასწავლებლები, აგრონომები, ეკონომისტები, ინჟინრები როდი არიან. ისინი ბევრად განსაზღვრავენ აგრეთვე სოფლის მთელი სულიერი ცხოვრების დონეს. იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი სასწავლებლებისა და ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციები გამოძებნიან მომავალ სპეციალისტთა აღზრდის ისეთ ფორმებს, რომ ისინი ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ახალი კულტურის ნამდვილი ორგანიზატორები და შემოქმედნი გახდნენ.

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენი ყრილობა დასახავს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის მუშაობის მთავარ მიმართულებებს. ეს მუშაობა მეტად მრავალფეროვანია როგორც შინაარსით, ისე ფორმით. მაგრამ ყველა საქმეში თითოეულ თქვენგანს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში ყოველთვის რჩება ახალგაზრდა, მისი შეხედულებანი და მრწამსი, მისი ინტერესები და ქცევა.

თქვენს კავშირს კომუნისტური ეწოდება. ეს ბევრს გავალებთ,

სწავლობდეთ კომუნიზმს, ემსახურებოდეთ კომუნიზმს ნიშნავს, რომ ყოველთვის და ყველაფერში დროის მოწინავე იდეების დონეზე იყოთ. კომკავშირის კეთილშობილური ამოცანაა დაეხმაროს პარტიას, უფროს თაობებს, კავშირის წევრები, მთელი ახალგაზრდობა შეაიარაღონ საზოგადოებრივი განვითარების კანონების გაგებით, კომუნისტური სიმტკიცით, კომუნიზმის სიმართლისა და უძლეველობის რწმენით, თითოეული ახალგაზრდა აღზარდონ ჩვენი დიადი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტად.

ერთ თვეში ოცდახუთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ფაშისტი ავაზაკები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას. ამ პერიოდში დაიბადა და წამოიზარდა თაობა, რომელსაც არ ახსოვს ბომბების აფეთქება, ხანძრები, ომის წლების სიდუხჭირე. ჩვენი ქვეყანა მშვიდობის პირობებში ცხოვრობს. მაგრამ ამან არ უნდა მოადუნოს ჩვენი სიფხიზლე. საერთაშორისო იმპერიალიზმი იყო და ახლაც არის ვერაგი და საშიში მტაცებელი. ეს კვლავ დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიამ ვიეტნამში.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით არის აღზრდილი, მხურვალე სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას და გულისწყრომით გმობს ამერიკელ ინტერვენტთა, თავისუფლების ჩამხშობთა თარეშს. მებრძოლ ვიეტნამელ ძმებისადმი სოლიდარობას ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები ამტკიცებენ კონკრეტული საქმეებით, ქმნიან მანქანებს, მოწყობილობასა და შესანიშნავ იარაღს, რომელიც ვიეტნამს სჭირდება საბრძოლველად. სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, სოციალიზმის სხვა ქვეყნების ხალხებთან ურღვევი ძმური მეგობრობისა და მსოფლიოს მთელ რევოლუციურ, განმათავისუფლებელ ძალებთან საბრძოლო სოლიდარობის გრძნობა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო თვისებაა, რომელსაც პარტია და კომკავშირი უნერგავენ ჩვენს ახალგაზრდობას.

საბჭოთა კავშირი არ აჟღარუნებს იარაღს, მაგრამ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გამანადგურებელი ლახვარი ჩავცეთ ყოველ აგრესორს. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერებით. ახალგაზრდობას, რომელიც დღეს ჩვენი სამშობლოს საზღვრების სადარაჯოზე დგას, იგივე იდეები აღაფრთოვანებს, რომლებიც აღაფრთოვანებდა მათს მამებსა და უფროს ძმებს. საბჭოთა სამშობლოს ახალგაზრდა შვილები ფხიზლად იცავენ ჩვენი ხალხის მშვიდობიან შრომას. და დარწმუნებული ვართ, თუ დაჰკრავს მრისხანე ჟამი, ისინი არ დაიშურებენ სიცოცხლეს რევოლუციის საქმისათვის, სამშობლოსათვის, კომუნიზმისათვის.

ამხანაგებო!

ჩვენი წყობილების მიერ შექმნილი პირობები, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ადამიანზე. სამშობლოს სწრაფი პროგრესი, კომუნისტური აღმშენებლობის წარმატებანი წარმოშობს ახალი ყაიდის ადამიანებს. მაგრამ კომუნისტური შეგნება სტიქიურად, ავტომატურად, თავისთავად როდი ყალიბდება. კომუნიზმისათვის ბრძოლა ითვალისწინებს პარტიისა და კომკავშირის დაუცხრომელ და სისტემატურ მუშაობას საზოგადოების ყველა წევრის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდისათვის. ეს მუშაობა განუყრელად უკავშირდება გადამწყვეტ ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, გულმოდგინე მეცადინეობას ჩვენთვის უცხო ფსიქოლოგიისა და მორალის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად.

განამტკიცებს საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტურ იდეურობასა და შეგნებას და სრულყოფს რა პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებებს, ლენინური კომკავშირი მთავარ ყურადღებას უთმობს და კვლავაც დაუთმობს ახალი ადამიანის — რევოლუციონერი ლენინელის, მშრომელისა და მებრძოლის, ყოველმხრივ განათლებული და ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდას. კარგი მაგალითები ახალგაზრდობაზე გაცილებით დიდ ზემოქმედებას ახდენს, ვიდრე ზოგადი ზნეობრივი დარიგებანი. ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებებით ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მკაფიოდ და შთამბეჭდავად გადავუშალოთ ახალგაზრდობას ნამდვილი საბჭოთა ადამიანის საქმეთა და საქციელთა სილამაზე და კეთილშობილება.

ჩვენი საზოგადოება არის ახალგაზრდობისათვის უდიდეს შესაძლებლობათა საზოგადოება. მაგრამ ცუდია, როცა ახალგაზრდობას ცხოვრებაზე იოლ წარმოდგენას უნერგავენ. ახალგაზრდას, რომელსაც ჯერ არ შეუცნია ცხოვრება, როცა წამდაუწუმ არწმუნებენ, შენ ყველაფერი გაქვს, შენთვის ყველაფერი მისაწვდომიაო, მას უნებურად შეიძლება განუვითარდეს სხვისი მოიმედეობის ფსიქოლოგია ნაცვლად იმისა, რომ გამოიმუშაოს ნებისყოფა, სიძნელეთა დაძლევის უნარი, თავისი შეუპოვარი შრომით მიაღწიოს წარმატებებს. ეს, ამხანაგებო, უნდა გავითვალისწინოთ. პარტიის ამოცანა, კომკავშირის ამოცანა, ჩვენი საერთო ამოცანა ის არის, რომ ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ ნამდვილი კომუნისტური სიყვარული შემოქმედებითი შრომისადმი — ყველაზე მშვენიერისადმი, რაც ადამიანს აბადია ამ ქვეყნად.

პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი ახალგაზრდობის ყოველმხრივი განვითარების ახალ ნაყოფიერ შესაძლებლობებს ქმნიან. ჩვენი საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკთა თანდათანობით გადაყვანა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე იმას ნიშნავს, რომ მეტი დრო გვექნება განათლებისათვის, სპორტის, კითხვის, თეატრის, ტურისტული გასეირნებისა და ოჯახისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობა დიდად ელტვის ცოდნასა და კულტურას, მჩქეფარე სულიერ ცხოვრებას და, რა თქმა უნდა, რომანტიკას. და იმათ, ვინც ახალგაზრდობასთან მუშაობს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ქალიშვილთა და ჭაბუკთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების ეს მრავალფეროვნება.

შესანიშნავია კომკავშირის ინიციატივა, რომელიც ამ ბოლო წლებში საკუთარი ძალებით ენერგიულად აშენებს ახალგაზრდობის სახლებსა და ტურისტულ ბანაკებს, ხსნის ახალგაზრდობის კლუბებს, ყოველივე ეს რაც შეიძლება ფართოდ უნდა განვავითაროთ.

ამავე დროს არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, როცა ზოგი უკვე დიდი ხნის აშენებული სტადიონი, საკონცერტო თუ სალექციო დარბაზი ცარიელია. ახალგაზრდობამ კი არ იცის სად მოაწყოს სპორტული დღესასწაული, დასვენების საღამო. ამბობენ, უწყებრივი ბარიერები გვიშლისო ხელს. თუ ეს ასეა, ასეთი ბარიერები უნდა აღმოიფხვრას. და ასეთი ამოცანის გადაწყვეტა შეგვიძლია. უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ ყოველივე ისიც, რაც უკვე გვაქვს.

რამდენადაც საქმე შეეხო მასობრივ მუშაობას, მინდა, ამხანაგებო, დავაყენო ასეთი საკითხი: განა კარგი არ იქნება, რომ წელიწადში ორჯერ-სამჯერ კომკავშირი აწყობდეს ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალებს — ახალგაზრდობის შრომით, კულტურულ, სპორტულ მიღწევათა თავისებურ დათვალიერებას. ამისათვის მზადება შეიძლება ფართოდ მოეწყოს მთელ ჩვენს ქვეყანაში. ეს საშუალებას მოგვცემდა მრავალი ათასი ახალგაზრდა ჩაგვება კომკავშირის აქტიურ საქმიანობაში, თვითმოქმედ შემოქმედებაში, ფიზკულტურასა და სპორტში, ალბათ ეს სასარგებლო იქნებოდა.

ახალგაზრდობაში, პიონერთა და მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მუდმივი სრულყოფა კომკავშირული ორგანიზაციების უცილობელი წესი უნდა იყოს. აქ შეუწყნარებელია კაბინეტური ქაღალდების თხზვა, შაბლონი და ფორმალიზმი. კომკავშირის საქმიანობის ასპარეზია ქარხნის საამქროები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სკოლები და კლუბები, საერთო საცხოვრებლები და სასპორტო მოედნები, ქუჩები და ეზოები — ყველგან სადაც არის ახალგაზრდობა, აი სად არის კომკავშირის ადგილი.

ამხანაგებო!

როცა ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი დაირქვა, მან იკისრა დიდი პასუხისმგებლობა — ლენინის აზრები, რჩევები, ოცნებები გადაექცია თავისი ყოველდღიური საქმიანობის მუდმივ კრიტერიუმად, ჩაენერგა თითოეული ახალგაზრდისათვის ლენინიზმის საფუძვლიანი შესწავლის მისწრაფება. კომკავშირი ის სკოლაა, სადაც ჩვენი ახალგაზრდობის უფართოესი მასები იწყებენ ლენინიზმის შესწავლას, ხდებიან ჩვენი საზოგადოების შეგნებული მოქალაქენი, იწყებენ აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში.

თქვენზე, ამხანაგო კომკავშირელო აქტივისტებო, თქვენს ენერგიაზე, თქვენს შრომაზე, თქვენს ცოდნაზე არის ახლა დამოკიდებული ბევრი რამ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

პარტიას იმედი აქვს, რომ თქვენ, ამ ყრილობის დელეგატები, გახდებით კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის დაძაბული ბრძოლის წამომწყებნი, იმედი აქვს, რომ ყველგან, სადაც ყრილობის შემდეგ დაბრუნდებით, — დიდ და პატარა მშენებლობებზე, საკოლმეურნეო ბრიგადებსა და ფერმებში, ქარხნის საამქროებსა და საკვლევ ცენტრებში სათავეში ჩაუდგებით საბჭოთა ახალგაზრდობის შთაგონებულ შრომას, ჩვენი ახალი ხუთწლედის შესასრულებლად.

ჩვენ ბევრი კონკრეტული — მეცნიერული და ტექნიკური, სამეურნეო და კულტურული ამოცანა უნდა გადავწყვიტოთ. მაგრამ რასაც უნდა ვაკეთებდეთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და ვხედავდეთ მთავარს, ვხედავდეთ მიზანს, რომლისთვისაც ყოველივე ეს კეთდება. ეს დიადი მიზანი კომუნიზმია. იგი მიუძღოდა ძველი სამყაროს საიერიშოდ ოქტომბრის უკვდავ გმირებს, გმირობისათვის აღაფრთოვანებდა მებრძოლებსა და მეთაურებს სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში, თავდადებული შრომისათვის რაზმავდა საბჭოთა ადამიანების თაობებს.

თქვენი ყრილობა დიდი მოვლენაა. მაგრამ ეს საზეიმო-პარადული ღონისძიება კი არა, არამედ კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა დიდი საქმიანი კრებაა. თქვენ ყოველმხრივ უნდა გააანალიზოთ კავშირის საქმიანობის წარმატებანი და ნაკლოვანებანი, დასახოთ მისი როლისა და აქტივობის შემდგომი გაძლიერების გზები, ყველაზე ღირსეული და საუკეთესო ადამიანები აირჩიოთ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში.

დაე თქვენს ყრილობაზე გაჩაღდეს ცოცხალი შემოქმედებითი დისკუსია კომკავშირის მუშაობის შესახებ, დაე უფრო გაბედულად ისმოდეს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ხმა. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი დაეხმარებიან თავიანთ ერთგულ თანაშემწეებს, კომკავშირელებს ყველა კეთილშობილურ წამოწყებაში, ყველა სასახელო საქმეში სამშობლოს საკეთილდღეოდ!

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, წავიკითხო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება თქვენი ყრილობისადმი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია კაიროს უნივერსიტეტში

კაირო, 16 მაისს, საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით ეწვია კაიროს უნივერსიტეტს. უნივერსიტეტში მივიდნენ აგრეთვე პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

უნივერსიტეტის სტუდენტები მხურვალედ შეხვდნენ ა. ნ. კოსიგინს, გ. ა. ნასერსა და საბჭოთა დელეგაციის წევრებს.

შეხვედრა გახსნა არაბთა სოციალისტური კავშირის გენერალურმა მდივანმა ალი საბრიმ.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

დარბაზობა გამართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა

კაირო, 17 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდლის მოადგილემ მარშალმა აბდელ ჰაქიმ ამერმა გუშინ საღამოს ზამალეკის (კაიროს რაიონი) ოფიცერთა კლუბში სადილი გაუმართა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი მეთაურობს.

